თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №47

31 აგვისტო, 2018 წელი
ქ. თეთრიწყარო

თეთრიწყარო მუნიციპალიტეტის საკუთრებად რიცხული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.დ" ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე

მუხლი 1.

ნება დაერთოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს მიიღოს გადაწყვეტილება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ კოდაში მდებარე, უძრავი ქონების (ს/კ84.06.38.488) ნაწილის, 723.3 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის ა.ა.ი.პ ,,ერედვის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრისათვის" 5 (ხუთი) წლის ვადით, პირდაპირი წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე და განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმება კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2.

დაევალოს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, ამ განკარგულების ამოქმედებისთანავე განახორციელოს კანონით გათვალიწინებული ღონისძიებები თეთრიწყროს მუნიციპალიტეტსა და ერედვის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრს შორის 2011 წლის 8 სექტემბერს გაფორმებული საკუთრების მინდობის ხელშეკრულების (N9) ვადამდე მოსაშლელად.

მუხლი 3.

განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მუხლი 4.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ. N11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, მისი მიღებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

გოჩა თედორაძე

საკრებულოს თავმჯდომარე